

THE MAIN ISSUES OF THE PLOT OF A MAGICAL FAIRY TALE IN THE FOLKLORE OF THE LIAKHVI GORGE

ჯადოსნური ზღაპრის სიუჟეტური ხაზის ძირითადი საკითხები
ლიახვის ხეობის ფოლკლორში

Aleksandre Mgebrishvili

Doctor of Philological Sciences,
Professor of Gori State University,
Gori, Chavchavadze st., No53, 1400, Georgia,
+995577251205, aleqsandre.m@gmail.com,
<https://orcid.org/0000-0002-4275-2417>

Abstract. A magical fairy tale, by its very nature, unfolds a narrative that defies the confines of reality. It transports readers to an extraordinary realm inhabited by wondrous beings, where the timeless battle between good and evil unfolds. Within this enchanted world, characters embark on ceaseless quests, driven by the pursuit of a brighter future, striving to reshape their own destinies and transform the world for the better.

A particularly intriguing aspect of the fairy tale lies in its depiction of the relationship between humans and natural phenomena, as well as the so-called forces of nature. By examining these details, one can uncover subtle remnants of an ancient worldview woven into the narrative. Specifically, even in its early forms, the archaic fairy tale illustrates humanity's powerlessness in the face of both the natural world and its inhabitants. This reflects a time when humans, still intimately connected to their surroundings, sought to understand, escape, or strike a bargain with the forces shaping their environment. In later periods, as a response to this inherent helplessness, the hero often attempts, initially unconsciously and later with intention, to challenge these forces. With the progression of time, the fairy tale hero begins to explore and comprehend the world, wielding human intellect and willpower to confront the stronger forces of nature, even endeavoring to win their favor or affection.

Our current discussion focuses on several examples of fairy tales recorded in the villages of the Liakhvi Gorge in the second half of the 19th century, which we will classify as magical tales.

Key words: Folklore, Liakhvi Gorge, Aleksandre Machabeli, plot of magical fairy tale, epic of Georgian fairy tale, character types.

ალექსანდრე მღებრიშვილი

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,
ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ., No53, 1400, საქართველო,
+995577251205, aleqsandre.m@gmail.com,
<https://orcid.org/0000-0002-4275-2417>

აბსტრაქტი. როგორც ცნობილია, ჯადოსნური ზღაპარი უმთავრესად გადმოსცემს ისეთ ამბავს, რომელთა მისადაგება რეალურ სინამდვილესთან წარმოუდგენელია. არაჩვეულებრივი ზღაპრული სამყარო ძირითადად ასახავს სასწაულმოქმედი

პერსონაჟით დასახლებულთა სამყოფელს სადაც მიმდინარობს საუკუნოვანი ჭიდილი სიკეთესა და ბოროტებას შორის. პერსონები მუდმივი ძიების პროცესში არიან, ეძებენ უკეთეს ხვალისდელ დღეს, ცდილობენ საკუთარი ცხოვრების და სამყაროს შეცვლას უკეთესობისკენ.

ძალზე საინტერესო დეტალია ზღაპარში ბუნებრივ მოვლენებთან და ე.წ. ბუნების ძალებთან ურთიერთობის პასაჟები. ამ დეტალებზე დაკვირვებით შესაძლებელი ხდება ზღაპრის სიუჟეტურ ქარგაში უძველესი მსოფლმხედველობის ნიუანსობრივი კვალის აღმოჩენა. ვგულისხმობთ იმ გარემოებას, რომ ჯერ კიდევ ადრეულ ეტაპზე არსებული არქაული ზღაპრის შინაარსში შესამჩნევი იყო ადამიანის უძლურება როგორც სამყაროს, ისე მის ბინადართა მიმართ. ეს არის იმ პერიოდის გამოძახილი, როდესაც ადამიანი ჯერ კიდევ წვდება მის ირგვლივ მიმდინარე ბუნებრივ მოვლენათა პროცესებში, გაურბის ან ცდილობს მათთან გარკვეული გარიგების მიღწევას. შემდეგ პერიოდებში საკუთარი უძლურების დასაძლევად, არც ისე იშვიათია მცდელობა გმირის მიერ ჯერ გაუცნობიერებლად, შემდგომ კი მიზანმიმართულად ბრძოლა მის წინააღმდეგ. ახალ საფეხურზე ზღაპრის გმირები იწყებენ სამყაროს შემეცნების პროცესს, უფრო ძლიერता მიმართ ადამიანის გონებრივი შესაძლებლობების გაოყენების ჩართვას, მათი გულის მონადირების მცდელობას და ა.შ.

ჩვენი სადღეისო განხილვის საგანს წარმოადგენს XIX საუკუნის მეორე ნახევარში ლიახვის ხეობის სოფლებში ჩაწერილი ზეპისრიტყვიერების ზოგიერთი ნიმუში, რომლებსაც ჩვენ ჯადოსნურ ზღაპართა რიგს მივაკუთნებთ.

საკვანძო სიტყვები: ფოლკლორი, ლიახვის ხეობა, ალექსანდრე მაჩაბელი, ჯადოსნური ზღაპრის სიუჟეტი, ქართული საზღაპრო ეპოსი, პერსონაჟთა ტიპები.

მეთოდები. ტექსტში გამოყენებულია თეორიული მეთოდოლოგიები: შედარება, ანალიზი, განზოგადება და სხვ. გამოყენებული შედარებით-ისტორიული მეთოდი და მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ანალიზი მოიცავს დასახელებულ თეორიულ მეთოდოლოგიებს.

შესავალი, შედეგები და მსჯელობა. როგორც ცნობილია, ჯადოსნური ზღაპარი უმთავრესად გადმოსცემს ისეთ ამბავს, რომელთა მისადაგება რეალურ სინამდვილესთან წარმოუდგენელია. არაჩვეულებრივი ზღაპრული სამყარო ძირითადად ასახავს სასწაულმოქმედი პერსონაჟით დასახლებულთა სამყოფელს სადაც მიმდინარობს საუკუნოვანი ჭიდილი სიკეთესა და ბოროტებას შორის. პერსონები მუდმივი ძიების პროცესში არიან, ეძებენ უკეთეს ხვალისდელ დღეს, ცდილობენ საკუთარი ცხოვრების და სამყაროს შეცვლას უკეთესობისკენ.

ძალზე საინტერესო დეტალია ზღაპარში ბუნებრივ მოვლენებთან და ე.წ. ბუნების ძალებთან ურთიერთობის პასაჟები. ამ დეტალებზე დაკვირვებით შესაძლებელი ხდება ზღაპრის სიუჟეტურ ქარგაში უძველესი მსოფლმხედველობის ნიუანსობრივი კვალის აღმოჩენა. ვგულისხმობთ იმ გარემოებას, რომ ჯერ კიდევ ადრეულ ეტაპზე არსებული არქაული ზღაპრის შინაარსში შესამჩნევი იყო ადამიანის უძლურება როგორც სამყაროს, ისე მის ბინადართა მიმართ. ეს არის იმ პერიოდის გამოძახილი, როდესაც ადამიანი ჯერ კიდევ წვდება მის ირგვლივ მიმდინარე ბუნებრივ მოვლენათა პროცესებში, გაურბის ან ცდილობს მათთან გარკვეული გარიგების მიღწევას. შემდეგ პერიოდებში საკუთარი უძლურების დასაძლევად, არც ისე იშვიათია მცდელობა გმირის მიერ ჯერ გაუცნობიერებლად, შემდგომ კი მიზანმიმართულად ბრძოლა მის წინააღმდეგ. ახალ საფეხურზე ზღაპრის გმირები იწყებენ სამყაროს შემეცნების პროცესს, უფრო ძლიერता მიმართ ადამიანის

გონებრივი შესაძლებლობების გაოცების ჩართვას, მათი გულის მონადირების მცდელობას და ა.შ.

„ქართულ საზღაპრო ეპოსში არ შემორჩენილა ადამიანისა და ბუნების ძალებს შორის ურთიერთობის ყველაზე ადრეულისაფეხური, როცა ადამიანი ჯერ კიდევ უძლურია წინ აღუდგეს სამყაროს ბინადართ. „ამირანის ეპოსში“ კი შემორჩენილია მოტივი, რომლის მიხედვით ადამიანი უკვე ებრძვის თავის გარშემო დასახელებულ ძალებს, გადაღებულია სრული უძლურების შეგრძნების ზღუდე: ამირანს, მართლა, გველეშაპი გადაჰყავს, მაგრამ გამოაღწევს გარეთ მას შემდეგ, რაც დანით გამოჭრის მუცელს. ამავე ტიპის სხვა მოტივებიც არსებობს საქართველოში. მათში მოთხრობილია დევისა და მთიულის მონადირისა და დევის შეხვედრაზე და ადამიანის ცდაზე, დაძლიოს დევი.

მტაცებელთან ადამიანის დაპირისპირების ის საფეხურია, როცა კაცის ძალას და მოხერხებას ვერ უმკლავდება ველური არსება, ადამიანის განვითარების ახალ ეტაპზე მიგვითითებს.“ (ქურდოვანიძე, 2001, გვ. 152)

ჩვენი სადღეისო განხილვის საგანს წარმოადგენს XIX საუკუნის მეორე ნახევარში ლიახვის ხეობის სოფლებში ჩაწერილი ზეპისრიტყვიერების ზოგიერთი ნიმუში, რომლებსაც ჩვენ ჯადოსნურ ზღაპართა რიგს მივაკუთნებთ. თუმცა, ვიდრე კონკრეტული ტექსტების განხილვას შეუდგებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მკითხველს შევახსენოთ სამეცნიერო სივრცეში საყოველთაოდ გაზიარებული შეხედულება ზღაპრის პერსონაჟთა ტიპების შესახებ.

ამ სხედულების მიხედვით ზღაპარში პერსონაჟთა ტიპობრივი კატეგორია ძირითადად სტილიზებულია და რაოდენობრივად შეზღუდულად განსაზღვრული. მათ ვინაობის ძიება მათივე ფუნქციაშია შესაძლებელი. ვლ. პროპის ნაღიზით (Пропп, 2000), ზღაპრის მთვარ მოქმედ პირთა რაოდენობის განსაზღვრა გარკვეულ კანონზომიერებას ემორჩილება და კონკრეტული რიცხვით არის განსაზღვრული. მათი მაქსიმალური რაოდენობა შეიძლება იყოს შვიდი:

- ✓ მთავარი მოქმედი გმირი
- ✓ საძებნი ობიექტი
- ✓ გამსტუმრებელი
- ✓ მჩუქებელი
- ✓ დამხმარე, შემწე
- ✓ მავნე
- ✓ ცრუ გმირი

ცხადია, შესაძლებელია, რომ ზოგიერთ ტექსტში პერსონაჟთა ეს რაოდენობა მცირდებოდეს ფუნქციათა ერთ პერსონაჟში გაერთიანების ხარჯზე, თუმცა უნდა ითქვას, რომ თითოეული ამ ფუნქციათაგანი მკვეთრად გახლავთ განსაზღვრულ-გამიჯნული.

ზემოთ ჩამოთვლილი პერსონაჟების ტიპები მოკლედ განვიცილოთ ცალ-ცალკე:

❖ **მთავარი გმირი** - ტექსტში მთავარი ამოცანის შემსრულებელი. ის იწყებს და ასრულებს ზღაპრის შინაარსს. სხვა ყველა პერსონაჟი ტექსტში, არსებობს მისთვის და მასზე დაკისრებული ამოცანის შესასრულებლად. ხშირად მთავარ გმირს აქვს თანდაყოლილი განსაკუთრებული თვისებები. უმთავრესად მოვლენების განვითარების ძირითად ხაზს წარმოადგენს მთავარი გმირის სახელიდან გასვლა. ამ დროს ის გამოუცდელია, უცხო სამყაროში არაერთი მახე და ხიფათი ელოდება. სწორედ ასეთი, დაბრკოლებით აღსავსე გზის გავლა და ახალ ადამიანად ქცევა წარმოადგენს მთავარ იდეას. მიზანი კი ყოველთვის ერთია: „მთავარი გმირის მიზანი შინ დაბრუნებაა მოპოვებულ საგანთან ერთად, რითაც სრულდება, ხშირ შემთხვევაში, მამის დავალება, მაგრამ ზღაპრის მთავარი შინაარსი (არა მიზანი) გარეთ ყოფნა ანუ შინ ყოფნის ანტითეზისი. ყველაფერი, რაც კი ზღაპრის სამყაროში ხდება, მოწოდებულია იმისთვის, რომ შინ ყოფნა ერთი საფეხურით ამაღლდეს, საბოლოო განსრულება პოვოს. მაგრამ რაც ხდება, ყველაფერი გარეთ ხდება. და თუ

არაფერი ხდება, დროც არ მიედინება. გარესამყარო კი მთლიანად დროული განზომილებისაა, მთლიანად დრო-ჟამის მორჩილებაშია. ეს ის ადგილია, სადაც მიმდინარეობს გმირის, შესაძლოა ბიოლოგიური ზრდისა და სულიერ-ინტელექტუალური აღზრდის პროცესი, რომელიც მთავრდება სახლის ზღურბლიდან, ანუ გმირი სავსებით და აბსოლუტურად მომწიფებული უბრუნდება თავის შინას და თავისი დაბრუნებით გარდაქმნის მას.“ (კიკნაძე, 2008, გვ. 87)

❖ **სამეზნი ობიექტი** - ძალზე ხშირად მეფის ასული, მისი მამა, ხელმწიფე. პერსონაჟი, რომელიც ან თვითონ აძლევს ურთულეს დავალებას მთავარ გმირს, ან მისი ფუნქციაა იყოს მთავარი გმირის მიერ ძებნილი და მოპოვებული.

❖ **გამსტუმრებელი** - ეს პერსონაჟი მხოლოდ ერთხელ ჩნდება ასპარეზზე. მთავარ გმირს ტექსტის დასაწყისისი ისტუმრებენ სახლიდან. ეს მხოლოდ ერთხელ ხდება საჭირო, ვინაიდან გმირი მხოლოდ ერთხელ გადის სახლიდან, ხოლო მისი გამსტუმრებელი მამა. შესაძლოა ეს ფუნქცია დედამ ან სხვა პერსონაჟმაც შეითვისოს, ოღონდ მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მთავარ გმირს მამა არ ყავს.

❖ **მჩუქებელი** - ის მთავარი გმირის ერთგვარი მომმარაგებელია. ის სხვადასხვა სახით და გარეგნობით შემოდის ზღაპარში. ხშირად მისი ჩაცმულობა, გარეგნობა ან ხასიათი სპეციფიურია რაც მხოლოდ მოვლენების განვითარებისადმი ინტერესის გაძლიერებას ისახავს მიზნად. ის ერთგვარ გამოცდას უწყობს მთავარ გმირს და რწმუნდება რა მის საუკეთესო თვისებებში ამარაგებს მას ისეთი საშუალებით, რაც მთავარი გმირისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მომავალ ხიფათით და ფათერაკებით აღსავსე გზაზე. ასეთი ტიპის საჩუქარი შეიძლება იყოს ნივთი, უნარი, საგანი, რჩევა(სიბრძნე) და მისთ.

❖ **დამხმარე, შემწე** - ასეთ ტიპაჟს ერთადერთი ფუნქცია აქვს, დაეხმაროს მთავარ გმირს ყველაზე უფრო რთული დავალების შესრულებაში. როგორც წესი ასეთი პერსონაჟი განსაკუთრებული, სასწაულმოქმედი უნარებით არის აღჭურვილი რაც საბოლოოდ შესაძლებელს ხდის მისი ფუნქციის წარმატებით განხორციელებას. ასეთივე ფუნქცია შეიძლება ეკისრებოდეს გარკვეულ ნივთებს (მფრინავი ხალიჩა, უცინმაცინის ქუდი, სუფრა და სხვ.), ცხოველებს (რაში, ფასკუნჯი და სხვ.). მათ მთავარი გმირისთვის უდიდესი დახმარების აღმოჩენის შესაძლებლობა აქვთ და ზოგჯერ მათ მოხერხებულობაზე ხდება დამოკიდებული გმირის წარმატება.

❖ **მავენი** - იგი წინა პერსონაჟისგან სრულად საპირისპიროდ განსხვავებული ტიპაჟია. მას ერთადერთი ფუნქცია აქვს ზღაპარში-ყველა ხელსაყრელი გზით ხელი შეუშალოს მთავარი გმირის მოქმედებას. ვნება მიაყენოს მას მშობლიური სახლიდან გამოსვლის შემდეგ. ქართულ ჯადოსნურ ზღაპრებში მავენებელთა სამყაროს ბინადარნი არიან სხვადასხვა სახის, ძალის და გონებრივი შესაძლებლობების დევეები, გველეშაპები, ბოროტი სულები და სხვ. ეს ბოროტი, შურისმაძიებელი და გაიდვერა არსებები ყველაზე უფრო ხშირად ქვესკნელის ბინადარნი არიან, მინიჭებული როლის შესაბამისად გამოიყურებიან და მოქმედებენ. ცხადია, ქვესკნელის ბინადართა გვერდით მოიპოვებიან მავენებელი ადამიანებიც (მაგიური შესაძლებლობებით აღჭურვილი ბებრი დედაბერი, ხელმწიფე და სხვ.), რომლებთან შერკინებაში მთავარი გმირი ყოველთვის იმარჯვებს.

❖ **ცრუ გმირი** - ხშირად ასეთი ფუნქცია აკისრიათ მთავარი გმირის ძმებს ან უახლოეს გარემოცვას, რომელთა მიზანია მიისაკუთრონ მთავარი გმირის მონაპოვარი. ისინი მცირე ხნით გამოდიან მოქმედების ველზე. გმირის სახელით მოქმედი ცრუგმირი შესაძლოა მცირე ხნით აღწევდეს მოჩვენებით წარმატებას (გამარჯვებული იერით დაბრუნდეს სახლში, გადაიხადოს ქორწილი და სხვ.), თუმცა ყოველივე ეს უაღრესად ხანმოკლეა. მთავარი გმირის დაბრუნება და ცრუ გმირის მხილება გარდაუვალია. მხილებული პერსონაჟი დასკვნით ნაწილში ისჯება მამის ან მთავარი გმირის ხელით და მისი არსებობა წყდება.

ახლა კი, ვფიქრობთ, მკითხველს წარვუდგინოთ ლიახვის ხეობაში ალექსანდრე მაჩაბელის მიერ მოპოვებული ჯადოსნური ზღაპრის ზოგიერთი ნიმუში, რომ უფრო მარტივად მოგვეცეს მათ არქიტექტურებზე დაკვირვების შესაძლებლობა და განვავრმოთ მსჯელობა.

ნიმუში 1. „იადონი და ბულბული (ზღაპარი იქვე გაგონილი, ჩაწერილი მისგანვე). იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი ხელმწიფე, ჰყავდა იმას სამი ვაჟი. ამ ხელმწიფემ ააშენა მშვენიერი, უმშვენიერესი ტაძარი. როცა სულ მთლად დაასრულეს შენობა, ხელმწიფემ დააყენა ყარაულები და უბძანა! გაიგეთ შემომსვლელისაგან, რა წუნს დასდებენ ამ ტაძარსაო. ერთ დღეს ამ შენობაში შემოვიდა ერთი კოჭლი მდევი, მიიხედა, მოიხედა, მოეწონა და სთქვა თავისთვის: ძალიან მშვენიერება რამ არის, საუცხოვოდ აგებულია მაგრამ ამისი ნაკლი ის არის, რომ იადონი და ბულბული არ არიან აქა და არ ჭიკჭიკობენო. სთქვა და გამოვიდა. ყარაულმა მოახსენა ხელმწიფეს, რომ თქვენს შენობას იადონო და ბულბული აკლია, თორემ სხვაფრივ ყველათი სრულიაო. დადონდა ხელმწიფე, არ იცოდა სად ეშვნა ბულბული და იადონი. მოუხმო თავის სამ შვილს და უბძანა: „წადით, იადონი და ბულბული იპოვეთ, მომგვარეთ, და ვინც მომიყვანთ, ჩემს სახელმწიფოს იმას დავულოცავო.“ ადგნენ ეს სამთავ მძევი და წავიდნენ საძებნელად. მივიდნენ ერთ სოფელში, სოფლის თავში სამართლის ქვა ეგდო. იმ ქვაზე ეწერა; ზევით წახვიდე, მალე მოხვიდე, მარჯვნივ - გვიან მოხვიდე, მშვიდობითა და მარცხნივ წახვიდე, ველარ მოხვიდეო; ითათბირეს მძევი, თუ საით წასულიყო თვითთელი იმათგანი - სამივე ხომ ერთად არ ივლიდა? ორი ძმა მარჯვნივ გაემგზავრა და უმცროსი კი მარცხნივ. იარა, ბევრი იარა და ერთ ქალაქში მივიდა. დიახ, შემკობილი იყო ეს ქალაქი, ერთ დუქანში შევიდა, გამოჰკითხა ხელმწიფეშვილმა ამ ქალაქის ამბავი მედუქნეს, უამბო იმანაც ყველაფერი და უთხრა: ძალიან ცუდი საქმე მოგელის, რომ აქ მოხველ, ამ ქალაქის ხალხის ჩვეულებაა, ღამე ძალღებად იქცევიან და ქუჩა-ქუჩა დაწრწიან, თუ ვისმე ადამიანს მოასწრეს, შესჭამენო, მე ალაგი არა მაქვს, აი იმ მედუქნესთან მიდი, კარგი ოთახები აქვს და ის შეგინახავსო. მადლობა უთხრა ხელმწიფის შვილმა მედუქნეს და მეორესთან მივიდა. იმანაც მიიღო და შიგნივ ოთახში შეიყვანა; უთხრა, არამცა და არამც კარები არ გააღო, მაგრად გქონდეს ჩაკეტილიო, მართლაც, რომ დაღამდა, ამ ქალაქის მცხოვრებნი დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი, ყველა ძალღებად გადაიქცნენ. ასტეხეს ერთი საშინელი აურზაური, ჩხუბი, ყეფა იმისთანა, რომ კაცს შეზარავდა. იცეს ადამიანის სული, მიადგნენ ამ დუქანს, ხან აქედგან მოუვლიან, ხან იქიდგან, კინაღამ კარები შეამტვრიეს, იბრაღა ღმერთმა და როგორც იყო გადარჩა განსაცდელს ეს ხელმწიფის ილი. რომ გათენდა დილა, ყველანი ისევ ხალხად გადაიქცნენ. გაიღო კარები საბრალომ, გამოვიდა, სჭამა პური მედუქნესთან და თავის ამბავი უამბო, თუ რად წამოსულა, და არც კი იცის სად წავიდეს, ან როგორ იშოვოს იადონი და ბულბული. მედუქნემ უთხრა: „მეტად ძნელს საქმეს დასდგომიხარ, ძნელია იმათი შოვნა. ის იადონი და ბულბული ჰყავს ერთ მზეთ-უნახავს ჩარექის ქალს. ის ქალი ხელმწიფის ქალია, დილით ასწონენ ჩარექი მოდის, საღამოს ასწონენ მაინც ჩარექი. არც ემატება და არც აკლდება. მარმარილოს კოშკში ზის ის, ბულბული დ იადონიც იქ უსხედან და ჭიკჭიკით შეაქცევენ. წადი აი ამ გზაზე, შორს მანძილს რომ გაივლი, ერთი მშვენიერი წალკოტი დაგხვდება, რიგი მწიფს, რიგი ყვავის, რიგიც მკვახეა და ვინ მოსთვლის მის ქებას, ის ბაღი ცალ-თვალი მდევისაა. რომ გაიარო, არამცა და არამც ხელი არას ახლოო, დაარიგა და გაისტუმრა.

ბევრი იარა, ცოტა იარა, მივიდა ერთ ბაღთან. მართლაც რომ სანაქებოა, რა გინდა სულო და გულო, რომ იქ არ ყოფილიყოს, ამ ხელმწიფის შვილმა ითმინა, ბევრი ითმინა, არას მისწვდა, მაგრამ ბოლოში რომ გაიარა, სწვდა ერთს მსხალს; როგორც გაკბიჩა, ისევ დაუძახა ცალ-თვალი მდევი: ეი, შენ, ყმაწვილო, მოითმინე პატარა ხანს, გარედან რას სწვდები, შიგ შემობრძანდი და ხილი იხილეო. ხელმწიფის შვილმა იმ წამს გადააგდო

მსხალი, მაგრამ გვიანდა იყო, მდევს ვერ წაუვიდოდა, დამორჩილდა, მივიდა მდევთან; მდევმა აათვალ ჩათვალა, მიიპატიჟა: მოზრდნადიო, მამაშენიც არ არის ჩემთან სტუმრობასაო, მიირთვი ხილიო. მიატარა, მოატარა, ძალიან მოეწონა ბალი, მერე ამ მდევმა უთხრა: წამოზრდნადი, ჩემი სახლიც ნახეო. წაჰყვა, გააღო მდევმა ოქროს კარები და შეიყვანა სახლში, მაგრამ დახე მის განცვიფრებას, შესვლის უმაღლეს სამოცმა მიჯაჭვულმა კაცმა ერთხმად დაიძახეს: შე უღმერთო, შენ რაღამ მოგიყვანა აქაო. მივიდა მდევი, აუშვა ერთი ტყვე, და ეს ხელმწიფის შვილი იმის ადგილას ჩააბარა, შენ აქ მოითმინეო. მერე ცეცხლი აანთო. გადმოიღო ოქროს შმფური, გააცხელა ცეცხლზე, ააგო ეს ცოცხალი კაცი, შესწვა ცეცხლზე, დაჯდა და თავ-ფეხიანად დამშუნძნა; მერე დაწვა და დაეძინა. რომ ამოუშვა საშინელი ხვრინვა, ამ ხელმწიფის შვილმა ჰკითხა: ამ კაცს რა ხასიათი აქვსო? ტყვეებმა მიუგეს: - „ერთ კაცს რომ შესჭამს, დააწვება ძილქუში და სამ დღეს აღარ გამოიღვიძებსო“. მაშინ ხელმწიფის შვილმა უთხრა: - აბა ამ ჯაჭვების კვანძს ავწიოთ, ეგებ სიმძიმისაგან გაწყდეს და ჩაიშალოსო. მოგროვდნენ სუყველანი ერთად, დაებლაუჭნენ, ასწიეს და ოდნავ შეანძრიეს. მერე ხელმწიფის შვილმა უთხრა: შეისვენეთ და გაგჭირვოთო, რომ შეისვენეს და ასწიეს - მხოლოდ ქარი გაუყენეს. მესამედ კიდევ შეისვენეს, აბა, ახლა კი ძმურად, ერთად და ძალით ავწიოთო. ასწიეს და როგორც აიტანეს მუხლზე, - ისე გაწყდა ერთი წვერი და ჩამოიშალა ჯაჭვები. გაინთავისუფლეს თავები, მოფრინდნენ და გაიქცნენ. ეს ხელმწიფის შვილი ეუბნება - მოიცადეთ, ეს თვალ-მარგალიტი და სიმდიდრე წაიღეთო, მაგრამ თავები რომ ცოცხლები დაახწიეს, იმას რა სჯობდა. ამ ხელმწიფის შვილმა აიღო შამფური, გაახურა ცეცხლში, ასწია, ჩაჰკრა იმ ცალ თვალში მდევსა და გამოუჭეჭყა. წამოვარდა მდევი ზეზედ, აქეთ-იქით მიაწყდა, ვერა გაიგო რა. ამ ხელმწიფის შვილმა გაისვა ხმაღს ხელი და მდევი ლუკმა-ლუკმა ასჩება. გამოსწია და თავის გზას დაადგა. იარა რამოდენიმე ხანი და ერთ ალაგას დაინახა: სამი ძმა მდევი დგას და ერთმანეთს საშინლად სცემენ ლახტებითა. მივიდა ახლოს და დაუძახა: „სამ ძმას მდევს გაუმარჯოსო.“ იმათ ხმა არ გამოსცეს, მეორედ კიდევ დაუძახა, მესამედ კიდევ: „სამ ძმას მდევს გაუმარჯოსო.“ მაშინ გაანებეს ჩხუბს თავი და უთხრეს: - რა იგი რომ ძმები ვართო? - როგორ არ ვიცე, განა არ გეტყობათო; მაგრამ რაზე ხოცავთ ერთმანეთსაო? „რახან გვეკითხები, შუა კაცობაც შენ უნდა გაგვიწიოო; ჩვენ ვიყრებით და ვერა ვრიგდებით: ჩვენ გვაქვს ერთი ნატვრის სუფრა, ერთი მფრინავი ხალიჩა და ერთი უჩინ-მაჩინის ქუდიო, ესენი ვერ გაგვიყვია და შენ გაგვინაწილეო. მაშინ ხელმწიფის შვილმა მოატანინა მშვილდ ისარი, გაისროლა სამი ისარი სხვა-და-სხვა მხარეს და უთხრა: „წადით, ისრები მოიტანეთ, ვინც უწინ მოიტანს, - ნეტვრის სუფრა იმას ერგოს, ვინც მეორედ მოვა, ნატვრის ხალიჩა იმას და ვინც ბოლოს, უჩინ-მაჩინის ქუდიო. გაეხარდათ, წავიდნენ ისრების მოსატანად, მაგრამ სად იპოვიდნენ, მგონი, ცხრა მთას იყვნენ გადაკარგულები. მდევები რომ შორს წავიდნენ, ხელმწიფის შვილმა მონახა ეს ნივთები, გაშალა მფრინავი ხალიჩა, აიღო ნატვრის სუფრა, უჩინ-მაჩინის ქუდი, უთხრა ხალიჩას: აბა ხალიჩავ, შენსა მზესა, შენსა გამომცემის მზესა, ამიყვანე და იქ მიმიყვანე სადაც ჩარექის ქალი სცხოვრობსო. აფრინდა ეს ხალიჩა და თვალის დახამხამებაზე იმ ქალაქში მიიყვანა; მადლობა უთხრა ხალიჩას, დაკეცა და ერთ დედაბერთან შევიდა, სთხოვა მისტუმრეო. დედაბერმაც სიხარულით მიიღო. გამოჰკითხა ქალაქის ამბავი. დედაბერმაც უამბო, კაი ქალაქიაო, კარგი ვარობაა და ისიც უამბო, რომ ჩვენ ელმწიფეს ჩარექის ქალი ჰყავს, დილით ასწონენ ჩარექსა, საღამოზე კიდევ, არც აკლდება, არც ემატება. იმასა სჰყავს იადონი და ბულბული, რომლებიც თავის მშვენიერი ჭიკჭიკით შეაქცევენ იმ ქალსაო. მერე ამ ყმაწვილმა უამბო, თუ რისთვის მოსულა; დედაბერმა უთხრა: ტყვილად გარჯილხარ, ის ქალი მარმარილოს კოშკში ზის, ცივ ნიაფს არ აკარებენ და შენ როგორ შეხვალ იქაო. დაანახვა ის კოშკიც. იმას მარტო ერთი ფანჯარა ჰქონდა. გაშალა იმ საღამოზე ხალიჩა, დაჯდა ზედა, დაიხურა უჩინ-მაჩინის ქუდი, უთხრა ხალიჩას: ხალიჩავ, შენსა მზესა, შენი გამომცემის მზესა, ამიყვანე და სადაც ჩარექის ქალი ზის იმ ოთახში შემიყვანეო. აფრინდა ეს ხალიჩა და შიგ კოშკში კი დაბადა ეს ყმაწვილი. ჩარექის ქალს ეძინა, იადონი და ბულბული

შესჯიკვიკებდნენ მბინარეს, კაცი უამეს ვერას გაიგონებდა. ქალს თავით და ფერხთით სანთლები ენთო. აილო თავის სანთელი ფეხთით დაუდგა, ფეხთისა თავით და ერთი აქეთ ლოყაში აკოცა და მეორე იქით. ქალს გამოელვია, წამოჯდა ზეზე, მიიხედ მოიხედა, ვერავინ ნახა, გაუკვირდა, ისევ დაიძინა. შუალამე რომ შეიქნა, კიდევ შეუცვალა სანთლები და აკოცა. გამოელვია ქალს, დაიძახა: რა ხარ, რა სულიერი ხარ, რა გინდა ჩემგანაო. თუ ეშმაკი ხარ ჩემთან ეშმაკს რა უნდაო, თუ ადამიანი და აქ როგორ გაზედე მოსვლაო? მაგრამ ვერას ხედავდა. მესამედ კიდევ აკოცა, ქალმა ბევრი იჯავრა, მაგრამ ვისზე. ვერავის ხედავდა. გათენდა დილა, ჩააცვს ქალს, გაიყვანეს ასწონეს და ჩარექს კიდევაც დააკლდა. განრისხდა ხელმწიფე მზარეულეზე, კაი საქმელი არ გიჭმევიათო, გაუსვა ხელი და თავები წაყრევინა მზარეულებს. ის დღე ხელმწიფის შვილმა კოშკში გაატარა. რომ დაღამდა და ქალმა დაიძინა კიდევ შეუცვალა სანთლები და აკოცა. წამოდგა ქალი და ხვეწნა დაუწყო, თუ კაცი ხარ მე და - შენ ძმა, თუ ქალი, მე შვილი და შენ დედაო. მაგრამ ხმა არავინ გასცა. კიდევ რომ დაეძინა - აკოცა. კიდევ წამოვარდა, ეხვეწებოდა: გამომიჩნდი ვინ ხარ; ხომ გაიგე მზარეულებს რა უყვეს, რაზედ იხვევ მათ ცოდოს თავზე? გამოჩნდი და, რა ვჰქნა, შენ ქმარი და მე ცოლიო. მაშინ მოიხადა ქუდი ყმაწვილმა და გამოჩნდა. ქალს დიდად გაუკვირდა. ჰკითხეს ერთმანეთს ამბავი, დააწყეს როგორ წასულიყვნენ; მერე გაშალა ნატვრის სუფრა, შეექცნენ ვახშამს, დაიწყეს საამო სტვენა იადონმა და ბულბულმა და შეაქცევდნენ. რომ გაათავეს ვახშამი, დასხდნენ ხალიჩაზე, იადონი და ბულბული გალით ხელში დაიჭირეს, შეულოცეს ხალიჩას: ხალიჩა, შენსა მზესა, შენი გამომცემის მზესა, აგვიყვანე და იმ ქალაქში მიგვიყვანე სადაც ჩემი ძმები არიანო. აფრინდა ხალიჩა და იმ ქალაქში ჩამოსხა. დაიჭირეს ერთი სახლი და მოისვენეს. მეორე დღეს ყმაწვილმა დაუწყო ძებნა თავის ძმებს. აგერ დაინახა, რომ უმცროსი ძმა ხაზაზთან არის მოჯამაგირედ. მივიდა პური იყიდა და ხაზაზს უთხრა: -შენ მოჯამაგირეს გამოატანე, ფულს ვაჩუქებო, რომ გაჰყვა ძმა უმცროსმა უთხრა: რა გაგიჭირდა ისეთი, რომ ხაზაზს დაუდექიო? იმან უამბო თავის გაჭირვება. მაშინ წაიყვანა აბანოში, გაბანა, ჩააცვა ტანისამოსი, როგორც ხელმწიფის შვილს ეკადრებოდა და თავის დანიშნულთან მიიყვანა. წავიდა მეორე ძმის სამეზნელად, ისიც მეხაშეს დასდგომოდა მოჯამაგირედ. იყიდა ხაში, გაიყოლა ძმა თანა, ისიც აბანა, ჩააცვა და მიიყვანა შინ. რომ დაინახეს ძმებმა ეს უმცროსი ძმა გამარჯვებული, შური იძიეს, ჩუმად მოილაპარაკეს, დააწყვეს საქმე, თუ როგორ დაეღუპათ იგი. გაიტყუეს და უთხრეს: წამოდი, რომ საკვირველება გაჩვენოთო. წაიყვანეს, ერთ ღრმა აკლდამასთან მიიყვანეს, ჩაახედეს შიგ, დახე, რა არისო. თავი წინ რომ წაიღო და ჩახედა, ჰკრეს ხელი და შიგ ჩააგდეს. წამოვიდნენ, მოვიდნენ ქალთან, ქალმა საქმრო იკითხა. იმათ უთხრეს, მოვაო. იადონმა და ბულბულმა ფრთები ჩამოუშვეს, ქალმა იფიქრა: რაღაც უბედურებაა ჩემს თავსაო. იტირა ბევრი, მაზლებმა გაუტრიზავეს, გაუქარწყლეს. დასხდნენ ხალიჩაზე და მამის ქალაქში წავიდნენ. მოეგება მთელი სახელმწიფო, ხელმწიფის შვილები მშვიდობით დაბრუნდნენო, მოჰყავთ იადონი, ბულბული და მზეთ-უნახავი ქალიცაო. მოეგება მამაც. მიიღო სიხარულით, ჰკითხა ამბავი. იმათაც უამბეს, როგორც უმცროსი ძმისგან გაეგონათ, გაურიეს ბევრი ტყუილიც და ძმის ამბავიც უთხრეს, ის მოუსავალ გზისკენ წავიდა, უეჭველად დაიღუპებოდაო. მერე ქალს ურჩია ხელმწიფემ ერთ-ერთი ძმა შეერთო. მაგრამ არა ჰქნა, მაზლს ვერ შევირთავო; ჩაჯდა ერთ ბნელ ოთახში, იადონი და ბულბულიც თანა ჰყავდა და საქმროს დაკარგვას ჰგლოვობდა. უმცროსი ძმა რომ ხვრელში იჯდა, იმ დღესვე ერთი მკვდარი თოკებით ჩაუშვეს შიდა. რამოდენიმე ხნის შემდეგ შემოეხვივნენ მგლები ამ ხვრელსა, რაკი ლემის სუნი იცეს, და აგერ ამ ყმაწვილმა დაინახა, რომ ერთ სოროდან მგელი მოძვრება; გააქანა მკვდარი და შიგ პირში მისცა მგელსა. მგელმა გაათრია, თითონაც უკან მიჰყვა და გარედ გამოძვრა. გასწია და წავიდა მამის სამფლობელოსაკენ. რომ მივიდა, ყველამ დაცინვა დაუწყო, აბუჩად აიგდო, მაგრამ ქალის ოთახში იადონმა და ბულბულმა ჰიკვიკი მორთეს. ქალმა იფიქრა: იქნება ჩემი საქმრო საითმე გაჩნდეს, ამათ რომ ასე გაიხარესო. მართლაც, მოვიდა შინა, ჯერ საცოლო ნახა და მას უკან დაიბარა ძმები,

მშობლები, უამბო ყველაფერი, ძმების საქციელიცა. დარჩა მეფობა უმცროსს, დასაჯა ძმები. იადონი და ბულბული ტაძარში შეიყვანეს, იქვე დაქორწილდნენ და ზედნიერად ცხოვრება დაიწყეს.

ჭირი იქ დავაგდე ლხინი აქ მოვიტანე, ნაცარი იქა - ფქვილი აქა.“ (აკაკის თვითური კრებული, 1899, გვ. 13)

ნიმუში 2. „ვეზირის მამა (ზღაპარი). იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთ ქალაქში ერთი ხელმწიფე. ერთ დღეს იმან გასცა ბრძანება, რომ ამაღამ სანთელი არავინ აანთოსო. მართლაც, მეფის ბრძანებას ვინ გასტეხდა, არავინ აანთო. ხელმწიფემ იმ ღამეს დაიარა ქალაქი, სანთელი ვერსად ვერა ნახა ანთებული, გარდა ერთი სახლისა, სადაც ქონის სანთელი ენთო და ცოლ-ქმარი იყვნენ შინა. ქმარი მოკეცილი იჯდა, ცოლს მის კალთაზე ეძინა, და ქმარი ზევდიდან დასცქეროდა. მეფეს ეწყინა ამათი თავხედობა, რომ სანთელი ენთოთ, დაასვა ნიშანი მათ კარებს, გასწია და შინ წავიდა. მეორე დილას გაგზავნა მსახური და უბძანა: „ამა და მა სახლზე ნიშანი დავსვი, წადი და იმ სახლიდან კაცი მომიყვანე.“ წავიდა მსახური, დაიჭირა ის კაცი და წამოიყვანა. მოიყვანა ხელმწიფესთან, ხელმწიფემ უბრძანა: „რა გამოხვედი მაგისთანა, რომ ჩემი ბრძანება გასტეხე და სანთელი არ ჩააქრეო?!“ - „რა ვქნა, დიდებულო ხელმწიფე“, მიუგო იმ კაცმა - „ჩვენ ცოლ-ქმარი ვართ, ერთმანეთის სურვილი ვერ მოგვიკლავს, მთელი დღე ერთმანეთის ცქერით ვერა ვძლებით, ღამეა და იმან უნდა ჩემ მუხლზე დაიძინოს, შუალამემდის მე ვუყურო, მერე მე დავიძინებ მის მუხლზე და ის მიცქერისო. ამ სიყვარულს ვეღარ ვუღალატებთ და ნურც თქვენ შეგვრისხამთო“.

მერე ხელმწიფემ უბრძანა: „წადი, ის შენი ცოლი მოჰკალ, მერე მე ჩემს ქალს შეგერთამო“.

- არა, დიდებულო ხელმწიფე, მე ჩემს ცოლს ვერ მოგვკლამო, მიუგო იმ კაცმა.

- წადი მოკალ, თუ მოჰკლავ, ჩემს ქალს შეგერთავ, და ამ ქალაქს მზითვად მოგცემ, თუ არა და დაგახრჩობო.

- თქვენი ნება გახლდეთ, უმჯობესია დამახრჩოთ, ვინემ მე ჩემს ცოლს მოგვკლავდეთ. მესამეთ კიდეც უბრძანა, მაგრამ კაცმა უარი განუცხადა.

მერმე, ის კაცი რომ გაისტუმრა, იმისი ცოლი დაიბარა, და მასაც იგივე ჰკითხა, რაზედაც ის პასუხი მიიღო, რაც ქმრისაგან. მერე უბრძანა: „წადი შენი ქმარი მოჰკალ, მოდი და ჩემს ვეზირს შეგერთამო“. ცოლმა, ორჯელ უარი უთხრა და მესამედ კი დაჰპირდა, რომ მოგვკლამ ჩემ ქმარსაო და წავიდა. ხელმწიფემ მალე კაცი დაადევნა, რათა არ მოეკვლევინებინა ქმარი, მაგრამ ვინამ კაცი მივიდოდა, ცოლს კიდეც აესრულებინა ხელმწიფისაგან მიცემული ბრძანება და თავის ხელით მოეკლა ქმარი. რა გაიგო ეს ხელმწიფემ, დიდად ეწყინა, განრისხდა ქალებზე, რომ ასეთი ორგულები ყოფილან ქალებიო, შეემზადა სხვაგან წასასვლელად, დაიბარა თავისი ვეზირი და უბრძანა: „მე ექვს თვეს აღარ დავბრუნდები, ამ ხნის განმავლობაში რაც ქალებია სულ გასწყვიტე, აგრეთვე ჩემი და შენი ცოლებიცაო, თუ არა და შენ დაგახრჩობო“, - უბრძანა და წავიდა. დაღონდა ვეზირი ძალიან, მოემზადა დასახოცათ, მაგრამ, რომ შეხედავდა დედოფალს და თავის ცოლს, სიმწარით გული შეუღონდებოდა და თავს ანებებდა. ბოლოს გადასწყვიტა ისევ თავი ჩამოეხრჩო, ვიდრე იმ ქალებს ამოსწყვეტდა. დაღონებულმა ვეზირმა შესჩივლა თავის ასოცი წლის მამას ყოველივე საქმის გარემოება. მამამ უბძანა: „ნუ გეშინიან, შვილო, ხელმწიფე რომ მობძანდეს, გაგირსხდეს და დასახრჩობად გაგამზადოს, მოახსენე: დიდებულო ხელმწიფე, მამაჩემი დაიბარე და ორი სიტყვა ათქმევინე, მერე როგორც გნებავდეს ისრე ასრულდეს თქვენი ნებათქო. მერე მე ვიცი რასაც მოვახსენებ“. მობძანდა მეფე, რა ნახა ქალები თავის ქალაქში ცოცხლები, მეტათ განრისხდა, გაუწყრა ვეზირს და მისი დახრჩობა უბრძანა.

- დიდებული მეფე, მამაჩემი დაიბარეთ, ორი სიტყვის ნება უბოძეთ და მე ჩემს ხელით გავაკეთებ სახრჩობელასო, სთხოვა ვეზირმა. შეისმინა მისი თხოვნა, დაიბარა ვეზირის მამა. იგი იახლა, თაყვანი სცა ხელმწიფეს და მოახსენა: „დიდებული ხელმწიფე, ნება მიბოძე ცოტა რამ ამბავი მოგახსენოთ. გაგიძრახამთ ქალების დაცოხვა ქმრების ორგულობის გულისთვის, მანდ ერთი მაგალითი მოხდა ქმრის ღალატობისა და ერთგულობისასაც. ერთ ამბავს მოგახსენებთ და დაიწყო შემდეგი: პაპაშენი რომ ხელმწიფედ ბრძანდებოდა, მე მას ვეზირად ვახლდი. მის მეფობის დროს ყოველ დღე თითო კაცი იკარგებოდა ამ ქალაქიდან, ვერავინ მიაგნო თუ რა ჰკარგავდა კაცსა. ბოლოს, ალბათ, დაკარგვის ჯერი ჩემზედაც მოსდგა და ერთ ღამეს ვიღაცამ დამიძახა, რომ გარეთ გავსულიყავ. წამოვდეგ ლოგინიდან გარეთ გამოსასვლელად, მაგრამ ცოლმა დამიჭირა და მითხრა: „ჩაიცვი ტანთა“, ჩავიცვი, „აისხი იარაღი, შესჯექ ცხენსა და ისე გადიო“. ავისხი იარაღი და გაველ გარეთ ცხენით. კარებზე მომდგომოდა ახალგაზრდა ჯერ უწყვერული კაცი, რომლის სილამაზე, სიახოვნე, მისი მოხდენით მხედრობა და იარაღთ შეკაზმულობა კაცს დააფეთებდა. მიბძანა: „წამომყე მეო“, მეც ნება უნებურად გავყე უკან, მისმა ბრძანებამ გასჭრა ჩემზე. მიდის და მივდეგ უკან, თან ჩემ გულში ვფიქრობ: ვაიმე, ახლა-კი მოვიდა ჩემი აღსასრული დღე. გავივლე გულში იმისი მოკვლა, მივუახლოვდი ჩემი ლახტით, რომლითაც დოლახს დავანაჭუჭებდი ხოლმე, დავუქნიე ერთი და მკლავში მოხვდა, მაგრამ თითქო აქ არაფერი ამბავია, მომიბრუნდა და მითხრა: „ბიჭოს! რა კენჭებს ისვრიო?“ მე გავშრი, მეორეთ დავუქნიე - ბეჭში მოხვდა, მან კიდევ გამიმეორა: „რა გინდა, ე, კენჭებს რათ მესვრიო?“ შემეშინდა ძალიან, დავუქნიე მესამეთ და თავში მოხვდა, მაინც არა დააკლდა რა, მომიბრუნდა და მითხრა: „გამანებე თავი, ტყუილად ნუ მეთამაშებიო!“ მე დიდათ გავკვირდი და წავყე უკან. ბევრი ვიარეთ და ერთ მარმარილოს კოშკთან მივედით, გადმოვხტით ცხენებიდან. ამ მხედარმა მითხრა: „ჯერ პური შეეჭამოთო“. ვჭამეტ პური, მერე მითხრა: „აქ მდევები ცხოვრობენ, ამათ ვეომები და თუ შენ იღბალზე გავიმარჯვე, ხომ კარგი და თუ არა, - დაიღუპებიო. ამისთვის ღმერთს შეევედრე, იქნება შენი ლოცვით მეშველოს. ჯერ პირველად რომ ჩავალ, ერთს დავიყვრიებ, მაშინ შეევედრე ღმერთს ჩემის დახნისთვის, მეორეთ რომ ჩემი ხმა გაიგონო, კიდევ მაშინ და თუ მესამეთ შემოგესმა ხმა, ძალიან ილოცე და ეხვეწე ღმერთს, ეგება მოვრჩეო, თუ ვერ გაიგონო ჩემი ხმა, იცოდე ხიფათი მოგელის და გაიქეცი, ეგება გაასწრო მდევებს და გადარჩე სიკვდილსაო“. გასწია და შევიდა კოშკში, მე დავიჩოქე და ღმერთს შეევედრე, შემომესმა ხმა, უფრო მხურვალედ ვეხვეწებოდი ღმერთს, რომ ეშველა მისთვის. შემომესმა მეორედ და მაშინ კიდევ შევაპყრე ღმერთს ხელები და შევეხვეწე. შესწყდა ხმა, ვსთქვი: ახლა კი დავიღუპე, მაგრამ ამ დროს ოდნავ კიდევ გავიგონე იმისი ხმა და მაშინ უფრო მხურვალედ ვილოცე. პატარა ხანს უკან ამოვიდა ჩემი მხედარი სულ მთლად გასისხლიანებული და გახარებულმა დამიძახა: „იღბალი გქონია, გავიმარჯვეო“. მივიდა წყალზედ, დაიბანა პირი, გაიბანა ტანისამოსი, მოვიდა, დაისვენა, შესჭამა პური, შევსხედით ცხენებზე და გამოვემგზავრეთ. ბევრი ვიარეთ, ცოტა ვიარეთ, მოვედით ერთ მშვენიერ მარმარილოს ქვასთან, მისი სისპეტაკე კაცს თვალსა სჭრიდა. იქ დავდექით. მერე მითხრა: - „აბა ასწიე ეს ქვა და გადმოაგორე“. დავებლაუჭე - მაგრამ ძვრაც ვერ ვუყავ. მერე მითხრა: „მე ქალი ვარ, აქ ჩემი ქმარი მარხია, რომელიც მაგ მდევებმა მომიკლეს და ახლა შენ იღბალზე ძლივს სისხლი ავიღე. დარდი აღარაფრისა მაქვს, ჯავრი ამოყრილია, ეხლა მეც აქ უნდა დავიმარხოვო“. გადმოაბრუნა ქვა და მითხრა: „დამეც გულში ხანჯალი და მომკალ!“ მე რას გავბედავდი, უარი ვუთხარი. ეწყინა ძალიან, ანაზდად დაიცა თვითონ ხანჯალი და მოიკლა თავი. მე იგი დავმარხე. დავადე როგორც იყო ქვა, შევსჯექ მის ცხენზე და მოვედი აქ მშვიდობით. მას უკან აღარავინ დაკარგულა. აი ასეთი ერთგულება გამიწია ჩემმა ცოლმა, რომ უიარაღო არ გამგზავნა და იმან კიდევ ამოიყარა ქმრის მკვლელობის ჯავრი და მერე თავი მოიკლა და ქმართან დაიმარხა“. გაათავა ვეზირის მამამ ეს ამბავი, დაუფიქრდა ხელმწიფე, გაეხარდა, დაიბარა ვეზირი, აკოცა და ქალებს კაი თვალთ დაუწყო ყურება.

ჭირი იქ დავტოვე, ლხინი აქ მოვიტანე, ნაცარი იქა, ფქვილი აქა.“ (აკაკის თვითური კრებული, 1898, გვ. 51)

ორივე ნიმუშში მოტანილი ზღაპრების დასაწყისი უაღრესად მშრალი და სქემატურია. კერძოდ, „იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი ხელმწიფე“ და მეორე „იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთ ქალაქში ერთი ხელმწიფე“. პირველი სტრიქონებიდანვე ცხადი ხდება, რომ მოქმედება გაურკვეველ, უცნობ ზღაპრულ სივრცეში, რომლისკენ მიმავალი გზა არ არსებობს და იქ მოხვედრა შეუძლებელია. მკითხველი მოკლებულია შესაძლებლობას გაარკვიოს მოქმედების დრო, ადგილი და მოქმედ გმირთა ეთნიკური კუთვნილება. სწორედ ეს გახლავთ ზღაპრის სპეციფიკა რაც მას განასხვავებს სხვა ჟანრის თხზულებისგან. როგორც პროფ. ზ. კიკნაძე შენიშნავდა: „ამ განუსაზღვრელობით ზღაპარი განსხვავდება მითოსისგან, ლეგენდისაგან ან თქმულებისგან, რომელთა მოქმედების ასპარეზები ტოპონიმიზებულია, დრო განსაზღვრულია. ის ჩვენი დროა, თუნდაც უხსოვარი იყოს. შეიძლება მოინახოს მითოსის (ლეგენდის, თქმულების) მოქმედების ადგილი, შეიძლება გახსენებულ იქნეს მოქმედების დრო. წარსულში მომხდარი ამბავი კვალს ტოვებს მიწაზე ტბის ან ბორცვის, ნანგრევის, ხევის, კლდისა თუ გამოქვაბულის, ან, თუნდაც, გაქვავებული თუ ქვადქცეული გველშაპის სახით, ზღაპრისგან განსხვავებით, რომელსაც ხილულ სინამდვილეში არა აქვს ტვიფარი.“ (კიკნაძე, 2008, გვ. 88)

ტექსტში მოქმედება ვითრდება მთავარი ღერძის გარშემო. ზღაპრის („იადონი და ბუღბული“) პირველი სტრიქონებიდანვე ირკვევა, რომ მთავარი გმირი თავის ორ უფროს მამსთან ერთად ტოვებს მშობლიურ სახლს, ქვეყანას და მიდის მამის დავალების შესასრულებლად. უმცორის ძმის, როგორც მთავარი გმირის ფუნქცია იკვეთება მის მიერ გზის არჩევის მომენტში. გზაჯვარედინზე ის ყველაზე რტულ და ფათერაკებით სავსე გზას ირჩევს, რაც კიდევ უფრო აძლიერებს ინტერესს ამ პერსონაჟისადმი.

ზღაპარში სახლიდან გასულ გმირს ათასგვარ განსაცდელით სავსე გზა ელოდება. მისი მოქმედება ყოველთვის გაპირობებულია მრავალხერხულოდ, უქონლობით, გზა კი ერთადერთი საშუალებაა რასაც ამ დანაკლისის შევსება შეუძლია. თუმცა ეს არ არის მარტივი. გმირი იბრძვის, იღებს უამრავ გაკვეთილს, იძენს გამოცდილებას, უჩვენებს თავგანწირვის მაგალითებს და სრულიად განახლებული სახით, ე.წ. რეინკარნირებული აღწევს საწადელს, მოიპოვებს იმ მთავარ ფასეულობას რასაც ეძიებს.

საწყის ეტაპზე გმირს ესაჭიროება დახმარება. ქართული ხალხური ზღაპრის სიუჟეტური ქარგისთვის კარაგად ნაცნობი ზღაპრული „გზაჯვარედინის“ გავლის შემდეგ, როდესაც მან საკუთარი არჩევანი გააკეთა, სრულიად გამოუცდელი პირისპირ ეგებება რთულ და ათასფეროვან სამყაროს. მისთვის ძალზე რტულია ამ ეტაპის მარტოდ-მარტო დაძლევა და სწორად ამ დროს ჩნდება დამხმარენი, შემწენი ან მაჩუქებელი. ჩვენი გმირის შემთხვევაში პირველი ასეთი პერსონაჟი უცხო ქვეყანაში, უცხო სივრცეში, სხვა ქალაქებში მცხოვრები მედუქნეა, რომელიც ისეთ რჩევას აძლევს ხელმწიფეს უმცროს ვაჟს, რომელიც მას სიცოცხლეს შეუნარჩუნებს.

„ერთ დუქანში შვიდა, გამოჰკითხა ხელმწიფეშვილმა ამ ქალაქის ამბავი მედუქნეს, უამბო იმანაც ყველაფერი და უთხრა: ძალიან ცუდი საქმე მოგელის, რომ აქ მოხველ, ამ ქალაქის ხალხის ჩვეულებაა, ღამე ძალღებად იქცევიან და ქუჩა-ქუჩა დაწრწიან, თუ ვისმე ადამიანს მოსწრეს შეჭამონო, მე ალაგი არა მაქვს, აი იმ მედუქნესთან მიდი, კარგი ოთახები აქვს და ის შეგინახავსო.“ (აკაკის თვითური კრებული, 1899, გვ. 13)

ანალოგიური ფუნქცია აქვს მეორე მედუქნესაც, რომელიც უკვე პრაქტიკულ დახმარების ხელს უწვდის ვაჟს, ღამეს გაათევინებს და მეორე დღეს ასევე უაღრესად მნიშვნელოვანი ინფორმაციით (და მოსალოდნელი, კიდევ ერთი, ფათერაკის შესახებ გაფრთხილებით) გაისტუმრებს.

„მედუქნებ მუთხრა: „მეტად ძნელი საქმეს დადგომიხარ, ძნელია იმათი შოვნა. ის იადონი და ბულბული ჰყავს ერთ მზეთ-უნახავს ჩარევის ქალს. ის ქალი ხელმწიფეს ქალია, დილით ასწონენ ჩარევი მოდის, საღამოს ასწონენ მაინც ჩარევი. არც ემატება და არც აკლდება. მარმარილოს კოშკში ზის ის, ბულბული და იადონიც იქ უსხედან და ჭიკჭიკით შეაქცევენ. წადი აი იმ გზაზე, შორს მანძილს რომ გაიცლი, ერთი მშვენიერი წალკოტი დაგზვდება, რიგი მწიფს, რიგი ყვავის, რიგიც მკვახეა და ვინ მოსთვლის მის ქებას, ის ბალი ცალ-თვალი მდევსაა. რომ გაიარო, არამც და არამც ხელი არას ახლო, დაარიგა და გაისტუმრა.“ (აკაკის თვითური კრებული, 1899, გვ. 13)

მედუქნესთან განშორების შემდეგ კვლავ გრძელდება გზა, რომელსაც გმირი ახლო განსაცდელთან მიყავს. როგორც კი არ გაითვალისწინებს მიღებულ რჩევას ის (ე.წ. მავნესთან) ცალთვალა დევის ტყვეობაში აღმოჩნდება. გამოცდის დროა და მთავარ გმირს მხოლოდ რწმენა, ვაჟკაცობა და გზადაგზა შექმნილი გამოცდილება გადაარჩენს. ცხადია, ის ამ დროს არ ფიქრობს მხოლოდ საკუთარ თავზე, მისი მოხერხებულობის წყალობით დევის მარწუხებიდან კიდევ სამოცამდე ადამიანის დახსნას მოახერხებს. ეს კეთილშობილური საქციელია და ის განაპირობებს კიდევ დასაჩუქრების გარდაუვლობას. მან ეს დაიმსახურა.

სწორედ ამ დროს სცენაზე ჩნდებიან დამსაჩუქრებლები: „იარა რამოდენიმე ხანი და ერთ ალაგას დაინახა: სამი ძმა მდევს დგას და ერთმანეთს საშინლად სცემენ ლახტებითა. მივიდა ახლოს და დაუძახა: „სამ ძმამდევს გაუმარჯოსო.“ იმათ ხმა არ გამოსცეს, მეორედ კიდევ დაუძახა, მესამედ კიდევ: „სამ ძმა მდევს გაუმარჯოსო.“ მაშინ გაანებეს ჩხუბს თავი და უთხრეს: - რა იგი რომ ძმები ვართო? - როგორ არ ვიცი, განა არ გეტყობათო; მაგრამ რაზე ხოცავთ ერთმანეთსო? „რახან გვეკითხები, შუა კაცობაც შენ უნდა გაგვიწიო; ჩვენ ვიყრებით და ვერ ვრიგდებით: ჩვენ გვაქვს ერთი ნატვრის სუფრა, ერთი მფრინავიხალიჩა და ერთიც უჩინ-მაჩინის ქუდიო, ესენი ვერ გაგვიყვია და შენ გაგვინაწილეო“ (აკაკის თვითური კრებული, 1899, გვ. 13)

ამ შემთხვევაში ეს პერსონაჟები მთავარ გმირს ნებით არ ჩუქნიან არაფერს, ის მხოლოდ საკუთარი მოხერხებულობის საშუალებით იყენებს შექმნილ ვითრებას სათავისოდ და ამგვარად ეუფლება იმ მაგიურ შესაძლებლობებით აღჭურვილ ნივთებს, რომელთა ქონა მიზნის მისაღწევ გზაზე გარდაუვალ აუცილებლობას წარმოადგენს. ეს ნივთები აუცილებელია იმსამუსოებში მოსახვედრად, სადაც ძეხნის ობიექტი იმყოფება.

„მდევები, რომ შორს წავიდნენ, ხელმწიფის შვილმა მონახა ეს ნივთები, გაშალა მფრინავი ხალიჩა, აიღო ნატვრის სუფრა, უჩინ-მაჩინის ქუდი, უთხრა ხალიჩას: აბა ხალიჩავ, შენსა მზესა, შენსა გამომცემის მზესა, ამიყვანე და იქ მიმიყვანე სადაც ჩარევის ქალი ცხოვრობსო. აფრინდა ეს ხალიჩა და თვალის დახამხამებაზე იმ ქალქაქში მიიყვანა.“ (აკაკის თვითური კრებული, 1899, გვ. 13)

ე. ი. გმირი უკვე დანიშნულების ადგილზეა. აქ ტექსტში შემოდის მიუწვდომელი კოშკის მცნება, სადაც ძეხნის ობიექტის ადგილსამყოფელია. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ცად აწვდილი კოშკში ასვლა სულიერი აღამსვლის გარდაუვალ აუცილებლობის საჭიროებებსაც განასახიერებდეს. მიზნის მიღწევამდე სულიერი განწმენდისა და კათარზისის გზის გავლა სავალდებულოა, რათა სახეცვლილი და ახალ ადამიანად ქცეული მთავარი გმირისთვის მისაწვდომი გახდეს ძიების ის ობიექტი, რომლისკენაც გმირი ისწრაფვის მთელი განვლილი ზგის მანძილზე.

მთავარი გმირი, მის ხელით არსებული მაგიური ნივთების გამოყენებით, მალე დაძლევს კოშკში მოხვედრის დაბრკოლებას. წარმატებით ახარებს გამოცდას და მოიპოვებს ნანტრ ძიების ობიექტს.

„მაშინ მოიხადა ქუდი ყმაწვილმა და გამოჩნდა. ქალს დიდად გაუკვირდა. ჰკითხეს ერთმანეთს ამბავი, დააწყვეს გეგმა როგორ წასულიყვნენ; მერე გაშალა ნატვრის სუფრა, შეექცნენ ვახშამს, დაიწყეს საამო სტვენა იადონმა და ბულბულმა და შეაქცევდნენ. რომ გაათავეს ვახშამი, დასხდნენ ხალიჩაზე, იადონი და ბულბული გალით ხელში დაიჭირეს,

შეულოცეს ხალიჩას: ხალიჩა, შენსა მზესა, შენი გამომცემის მზესა, აგვიყვანე და იმ ქალაქში მიგვიყვანე სადაც ჩემი ძმები არიანო. აფრინდა ხალიჩა და იმ ქალაქში ჩამოსხა. დაიჭირეს სახლი და მოისვენეს.“ (აკაკის თვითური კრებული, 1899, გვ. 13)

ზღაპრის ამ პერსონაჟის მოცემული მდგომარეობა პირდაპირპროპორციულად მიაჩნებოდა, რომ პრობლემა აღარ არსებობს. ჩვენ ზემოთ ვამბობდით, რომ მთავარი გმირი, ზოგადად, თითქმის ყველა ზღაპრის დასაწყისში, მამისეულ სახლს ყოველთვის ტოვებს რაიმე დეფიციტის, არ ქონის, დაუკმაყოფილებლობის განცდის ან უკეთესის სურვილით. ზემოხსენებულ შემთხვევაში ეს საკითხი მოგვარებულია. გმირმა მიზანს მიაღწია და შინ დაბრუნების დრო ახლოვდება, თუმცა ჩვენს შემთხვევაში ეს ასე უცბად არ ხდება. საქმე გვაქვს ქართულ ჯადოსნურ ზღაპარში ერთობ გავრცელებულ დეტალთან. სახეზეა მორიგი სვლით თავგადასავლის გაგრძელების ეტაპი. დგება დრო მკითხველმა უკეთ გაიცნოს ცრუ გმირის პერსონაჟთა კატეგორია.

მიუხედავად იმისა, რომ მთავარმა გმირმა მიაღწია წარმატებას, გარდა ამისა, გამოიჩინა ადამიანურობა, სიკეთე, გულისხმიერება, დაეხმარა ადამიანებს, მოძებნა ძმები, დაიხსნა გაჭირვებიდან და აპირებს შინ დაბრუნებას, აღმოჩნდება, რომ ასე არ ფიქრობენ ძმები. „რომ დაინახეს ძმებმა ეს უმცროსი ძმა გამარჯვებული, შური იძიეს, ჩუმად მოილაპარაკეს, დააწყეს საქმე, თუ როგორ დაეღუპათ იგი. გაიტყუეს და უთხრეს: წამოდი, რომ საკვირველება გაჩვენოთო. წაიყვანეს, ერთ ღრმა აკლდამასთან მიიყვანეს, ჩაახედეს შიგ, დახე რა არისო. თავი წინ რომ წაიღო და ჩახედა, ჰკრეს ხელი და შიგ ჩააგდეს.“ (აკაკის თვითური კრებული, 1899, გვ. 13)

იწყება კიდევ ერთი გამოცდა. მთავარ გმირს კიდევ ერთხელ მოუწევს საკუთარ ძალებში დარწმუნება. ამასობაში ცრუ გმირები მოჩვენებითი ტრიუმფით ბრუნდებიან მამისეულ სახლში. თითქოს ყველაფერი თავისი გზით აპირებს სვლის გაგრძელებას და სწორედ ამ მომენტში მთავარი გმირი, რომელმაც კიდევ ერთხელ დააღწია თავი განსაცდელს, გამარჯვებული ბრუნდება მშობლიურ სამყოფელში. შემდგომი ეტაპი ცრუ გმირთა გამოამჟღავნება და დსჯაა.

ზღაპარი თითქმის ყოველთვის მთავრდება ქორწილით, ბედნიერი ცხოვრების დასაწყისით.

მთავარი გმირის გამარჯვებას ყოველთვის განაპირობებს სიკეთე, თავგანწირვის უნარი, მოთმინება, უღალატობა, მოხერხებულობა და ა.შ. გასათვალისწინებელია, რომ ამ თვისებათა ნაწილი მშობლიური სახლიდან გახლავთ წამოყოლილი, ხოლო ნაწილი, რა თქმა უნდა, გზადაგზაა შეძენილი.

საგულისხმო დეტალია ისიც, რომ მეორე ნიმუშად მოტანილ ზღაპარში „ვეზირის მამა“, ერთ-ერთი კვანძის გახსნის ეპიზოდში დევებთან საბრძოლველად შესულ გმირს მეორე, გარეთ დარჩენილი პერსონაჟი ეხმარება რწმენის ძალით, ლოცვით და ამარჯვებინებს მას.

„შევიდა კოშკში, მე დავიჩოქე და ღმერთს შევევედრე, შემომესმა ხმა, უფრო მზურვალედ ვეხვეწებოდი ღმერთს, რომ ეშველა მისთვის. შემომესმა მეორედ და მაშინ კიდევ შევაპყრე ღმერთს ხელები და შევეხვეწე. შესწყდა ხმა, ვსთქვი: ახლა კი დავიღუპე, მაგრამ ამ დროს ოდნავ კიდევ გავიგონე იმისი ხმა და მაშინ უფრო მზურვალედ ვილოცე. პატარა ხანს უკან ამოვიდა ჩემი მხედარი სულ მთლად გასისხლიანებული და გახარებულმა დამიძახა: იღბალი გქონია, გავიმარჯვეო.“ (აკაკის თვითური კრებული, 1898, გვ. 51)

მოცემულ ტექსტში ფინალური აკორდი არ არის ქორწილის სცენა, თუმცა დასასრული მსგავსი ხასიათის (ბედნიერი ცხოვრების დასაწყისის) პოზიტიური მინიშნების შემცველია.

მკითხველს კარგად მოეხსენება, რომ ზღაპრის დრო სრულიად განსხვავებულია ყოფითი დროისგან და იქ მოცემული ფინალი ქორწილის ან სხვა დადებითი დასასრულით

არ უნდა იყოს აღქმული ერთი აქტივობის ფარგლებში განხორციელებული მოქმედების აქტად.

„ზღაპარში გამავალი დრო და მთხრობელ-მსმენელის დრო განსხვავებულ განზომილებაში არსებობენ, ისინი აცდენილი არიან ერთმანეთს, არ ებმიან, არ აგრძელებენ ერთმანეთს. უკეთეს შემთხვევაში, ისინი პარალელურად მიედინებიან და არ კვეთენ ერთმანეთს. ზღაპრის დრო არ არის წარსულის დრო რეალური დროის მიმართ. ის ჰერმეტიკული, ჩაკეტილი დროა, მას აქვს დასაწყისი, რომელიც უდროობიდან მოდის და დასასრული, რომელიც მარადიულობაში გადადის. „დღესაც ბედნიერად ცხოვრობენ“, ან „დღესაც ქორწილი გრძელდება“ - მიანიშნებს ამ მარადიულობაზე. ზღაპრის ამ განგრძობილ ქორწილში რაც ხდება, ის აღწერა-გადმოცემას არ ექვემდებარება. წუთისოფლის სიტყვები, რომელთაც მთხრობელი ამ მომენტამდე (ქორწილამდე) იყენებდა, აქ აღარ გამოდგება.“ (კიკნაძე, 2008, გვ. 89)

ზღაპრის დასრულებისას მთხრობელი საკუთარ თავსაც მოთხრობილი ამბის მონაწილედ ხდის და ისე ესაუბრება მსმენელს. მაგალითად, ზღაპარში „იადონი და ბულბული“ მთხრობელი ისე ასრულებს ტექსტს, თითქოს მოთხრობილ ამბავში თვითონაც მონაწილეობდა: **„ჭირი იქ დავაგდე ლხინი აქ მოვიტანე, ნაცარი იქა-ფქვილი აქა.“** (აკაკის თვითური კრებული, 1899, გვ. 13) ანალოგიური ფინალია ტექსტში „ვეზირის მამა“: **„ჭირი იქ დავტოვე, ლხინი აქ მოვიტანე, ნაცარი იქა, ფქვილი აქა.“** (აკაკის თვითური კრებული, 1898, გვ. 51)

მთხრობელი ცდილობს დატოვოს შთაბეჭდილება, რომ ის იმყოფებოდა მოქმედების ადგილზე და შესაძლოა მონაწილეობდა კიდევ განვითარებული მოვლენების მსვლელობაში, თუმცა, გასაგებია, რომ მისი ნათქვამი მსმენელისთვის არადამაჯერებელია.

აქ საგულისხმოა ის მომენტიც, რომ ზემოთ მოხმობილი ნიმუშების ორივე ტექსტში მოქმედი არცერთი გმირის სახელი არ დემონსტრირდება. ის ან ხელმწიფეა, ან ხელმწიფის შვილი, მზეთ-უნახავი, ვეზირი, ვეზირის მამა და ა. შ., მაგრამ არც ერთ მათგანს სახელი არ აქვს. ეს არც არანაირ პრობლემას არ ქმნის. მოქმედების განვითარების არც ერთ ეტაპზე არავინ ინტერესდება არცერთი გმირის არც სახელით, არც ეთნიკური წარმომავლობით და არც რელიგიური მრწამსითა და აღმსარებლობით. ისინი საერთო სახალხო კუთვნილებას წარმოადგენენ.

მთავარ გმირს მხოლოდ ერთი გზა აქვს, ისიც თავგადასავლებით სავსე. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს გზა იმიტირებული ცხოვრების გზაა, მშობლიური სახლიდან, ანუ სიყრმიდან ქორწილში შესვლამდე. ივარაუდება, რომ ქორწილში შესვლამდე გმირი გარკვეულ მოსამზადებელ გზას გადის, ის ამ დროისთვის სიბრძნესთან ნაზიარები და კათარზისგავლილია. ქორწილის დრო ახალი თაობის წვეყნად მოვლინების დროა და მთავარი გმირის ისტორიის დასასრულიც. ეს იყო მისი ერთადერთი გზა, ერთადერთი ცხოვრება, სწორედ ამიტომ მოიაზრება ქორწილი მარადიულად განგრძობად ფენომენად.

ამის გამოძახილია პირველ ნიმუშად მოტანილ ზღაპარში „იადონი და ბულბული“ ტექსტის დასკვნითი დეტალი: **„იადონი და ბულბული ტაძარში შეიყვანეს, იქვე დაქორწილდნენ და ბედნიერად ცხოვრება დაიწყეს.“** (აკაკის თვითური კრებული, 1899, გვ. 13)

პროფ. ზ. კიკნაძის სიტყვით რომ ვთქვათ, „ამიტომაც, როცა ვლაპარაკობთ ზღაპრის დასასრულზე, ეს დასასრული მხოლოდ სიუჟეტური დროის დასასრული არ არის, ეს აბსოლუტური დასასრულია, რომლის საუკეთესო სიმბოლო ქორწილია.“ (კიკნაძე, 2008, გვ. 91)

დასკვნა. ამრიგად, მოხმობილი ნიმუშებით თუ ვიმსჯელებთ, XIX საუკუნის მეორე ნახევარში ლიახვის ხეობაში მოპოვებულ ფოლკლორულ ნიმუშებს შორის დაცული ჯადოსნური ზღაპრის ნიმუშები ზუსტად შეესაბამება ქართულ ფოლკლორისტიკაში

არსებულ ჯადოსნური ზღაპრის აღწერილობებსა და თავისებურებებს. ბუნებრივია, გასათვალისწინებელია ზოგიერთი ნიუანსობრივი თავისებურებანი რომლებზეც ზემოთ გვექონდა საუბარი.

ზოგადად, მოცემულ ტექსტებში მთრობელის მიერ ერთ საგანზე დიდხანს არ ხდება ყურადღების შექცევა. მოქმედება სამ ნაწილიანია: სახლიდან გასვლა, გმირის თავგადასავალი და სახლში დაბრუნება, ანუ მოქმედების საწყისი და დასასრული მშობლიური სახლია, ხოლო თხრობის არეალი მოიცავს ამბავს გზად განცდილისა, ნანახის და დაძლეული წინააღმდეგობების შესახებ. გმირის შინ დაბრუნების მომენტი უმნიშვნელოვანესია, მის მიერ ამ აქტის განხორციელება კი გარდაუვალი. საწყის ეტაპზე, მამისეული სახლის ბინადარი გმირი რადიკალურად განსხვავებულია, დასარულს, შინდაბრუნებული გმირისაგან. ის განვითარების, ევოლუციის სრულიად განსხვავებულ საფეხურზე იმყოფება, დატვირთულია იმ შთაბეჭდილებებით და გამოცდილებებით, რომლებიც გარეთ ყოფნისის შეიძინა.

ისევე, როგორც ქართული ფოლკლორის სხვა მსგავსი ნიმუშები, წარმოდგენილი ტექსტებიც აღჭურვილია ე. წ. ზღურბლზე სათქმელი და გამოსამშვიდობებელი ფორმულებით. დაცულია სტილის, ენობრივი ქსოვილის, კომპოზიციის, პერსონაჟთა როლის, სტრუქტურული აგებულებისა და იდეოლოგიური საზრისების ძირითადი ნიუანსები. შესაბამისად, შეიძლება თამამად ითქვას, რომ ლიახვის ხეობის წიაღში საუკუნეების წინ მოპოვებული შესანიშნავი ფოლკლორული ნიმუშები საერთო ქართული კულტურული მემკვიდრეობის ღირსეულ ნიმუშებს წარმოადგენს.

გამოყენებული ლიტერატურა

- აკაკის თვითური კრებული. (1898). ვეზირის მამა. ზღაპარი ს. ქურთაში გაგონილი ე. ბასიშვილისაგან, ჩაწერილი ა. მაჩაბლისაგან. #XII, განყ. III.
- აკაკის თვითური კრებული. (1899). იადონი და ბულბული. ჩაწერილი ა. მაჩაბლის მიერ. #IV, განყ. II.
- კიკნაძე, ზ. (2008). *ქართული ფოლკლორი*. თბილისი.
- ქურდოვანიძე, თ. (2001). *ქართული ფოლკლორი*. თბილისი.
- Пропп, В. (2000). *Исторические корни волшебной сказки*. Москва.

REFERENCES

- ak'ak'is tviuri k'rebuli [Akaki's Monthly Collection]*. (1898). veziris mama [Father of the Vizier]. Written down by A. Machabeli in V. Kurta from the verbal story of E. Basilashvili. #XII, Section III.
- ak'ak'is tviuri k'rebuli [Akaki's Monthly Collection]*. (1899). iadoni da bulbuli [The Yadon and the Nightingale]. Written down by A. Machabeli. #IV, Section II.
- k'ik'nadze, z. (2008). *kartuli polk'lori [Georgian Folklore]*. Tbilisi.
- kurdovanidze, t. (2001). *kartuli polk'lori [Georgian Folklore]*. Tbilisi.
- Propp, V. (2000). *Istoricheskie korni volshebnoj skazki [The historical roots of the fairytale]*. Moscow.